საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

2008 წლის 8 სექტემბერს ევროკავშირის შუამავლობით საფრანგეთის პრეზიდენტსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, 2008 წლის 1 ოქტომბრიდან ევროკავშირმა დაიწყო სადამკვირვებლო მისიის განხორციელება. ამ შეთანხმების მე-2 პუნქტის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია ვალდებულია სრულად გაიყვანოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარედ განლაგებული საოკუპაციო საჯარისო ნაწილები სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე, მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში ევროკავშირის სადამკვრვებლო მისიის დაწყებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება სრულად არ არის შესრულებული, საოკუპაციო საჯარისო ნაწილები კვლავ იმყოფებიან საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე და აგრძელებენ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანი მოსახლეობის შევიწროებას, პროვოკაციების მოწყობას,

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო სამმართველო
წარგზავნილი ეროვნ. ბანკის ბარათით
№ 07-1/27
"1" 10 2008
2 ფურცელი

მართლწესრიგის მოშლასა და ქვეყნის განვითარების შეფერხებას, ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების, დეოკუპაციის პროცესის შემდგომი გაგრძელებისა და მართლწესრიგის აღსადგენად საჭირო ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ თანხმობას, რათა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 3 სექტემბრის N 424 და 18 სექტემბრის N 452 ბრძანებულებების შესაბამისად მოქმედი საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2008 წლის 17 ოქტომბრამდე.

მიხეილ სააკაშვილი

№ 1/330
01.10.2008